



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თავდგირიძე ჰასან-ბეგი

თავდგირიძე ჰასან-ბეგი (დაახლ. 1810, ოზურგეთი, – V. 1854, შეკვეთილი), ოსმალეთის - ჯარის სარდალი, ქობულეთის კაზის მმართველი. მონაწილეობდა ყირიმის (1853–56) ომში. მჭიდრო კავშირი ჰქონდა გურულ ნათესავებთან, მათი დახმარებით ცდილობდა აჭარლების და გურულების მჭიდრო შეკავშირებას და ერთიანი ძალით რუსების განდევნას. დაიღუპა შეკვეთილთან (იხ. ნიგოიტის ბრძოლა 1854) თანამოძმის ლალატის შედეგად. თ-ს თავი მოჰკვეთეს და თბილისში მთავარმართებელს ჩაუტანეს. მასზე შეიქმნა ლექსი და სიმღერა „ჰასანბეგურა“.

ლიტ.: ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე ი., გლეხთა აჯანყება გურიაში, ბათ., 1955; ს უ რ მ ა ნ ი ძ ე რ., ლაზეთის ლეგენდა, თბ., 2010.

რ. სურმანიძე
